პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი

№ 270 (13654) | კვირა, 27 ნოემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა!

სახელოვნად დავამთავროთ ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია 1966 წლის 27 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1966 წლის 26 ნოემბერი.

საბჭოთა ჩარხების გამოფენის წარმატება

მოსკოვის „სოკოლნიკის" კულტურისა და დასვენების პარკში მუშაობას განაგრძობს საბჭოთა პრეციზიული ჩარხების, წნეხების, სამსხმელო მანქანებისა და ინსტრუმენტების გამოფენა.

ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის, საჭრელი და საზომი ინსტრუმენტის, ჩარხების კვანძებისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის ფართო ნომენკლატურას, აგრეთვე ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს საწარმოები ამზადებენ. უკვე გადაცემ დაახლოებით 70 ათასი კაცი, მათ შორის მრავალი ინჟინერ-ტექნიკოსი, 32 ქვეყნის საწარმოებისა და ფირმების წარმომადგენელი.

26 ნოემბერს გამოფენას ეწვივნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, ნ. კაპიტონოვი. ახსნა-განმარტებას სტუმრებს აძლევდა ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი ა. ი. კოსტოუსოვი.

ა. ნ. კოსიგინი შეხვდა პროფკავშირთა ხელმძღვანელ მუშაკებს

26 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების, რესპუბლიკური, საგანგებო და ოლქის საბჭოების თავმჯდომარეები — სრულიად საკავშირო სემინარის მონაწილენი, აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

ა. ნ. კოსიგინს დასწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან ილაპარაკა 1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების წინასწარ შედეგებსა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე მომავალ წელს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დაწვრილებით შეეხო ამოცანებს, რომლებიც დასახულია კაპიტალური მშენებლობის დარგში, კერძოდ საბინაო მშენებლობაში, ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლების, მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად პროდუქციის გამოშვების ზრდის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ დაგეგმვისა და მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა ეკონომიკურ ქმნის ხელშემწყობ პირობებს წარმოების ყველა დარგის ზრდისათვის. მან აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებულ როლს ასრულებენ პროფესიული კავშირები ადამიანთა შემოქმედებითობის, ადამიანთა ურთიერთგაგების ფორმების შექმნაში შრომის ნაყოფიერების, როგორც საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის წყაროს გადიდებისათვის, და ამ საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. იგი შეეხო მუშებისა და მოსამსახურეების ორი დასვენების დღეთ-ის დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის ღონისძიებებს.

დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა გააანალიზა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, ხაზგასმა აღნიშნა, რომ უცვლელია მშვიდობისათვის ბრძოლის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჰოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი.

მარშალი ა. ჰ. ამერი მოსკოვში

25 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ოფიციალურ ვიზიტზე ყოფილ მარშალ აბდელ ჰაკიმ ამერს.

მეგობრული საუბრის დროს განაგრძეს აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე ინტერესთვის საინტერესო საკითხებზე.

26 ნოემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის მარშალ აბდელ ჰაკიმ ამერის დასვენთა საუბარი. იგი დადადებითი ხასიათისა იყო. მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ტ. მაზუროვი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მუჰამედ მურად ჰალეგი.

25 ნოემბერს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა მარშალმა აბდელ ჰაკიმ ამერმა საუზმე გამართა.

საუზმეზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ნ. შელეპინი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა კავშირში ა. ჰ. ამერთან ერთად ჩამოსული პირები — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი შამს ბადრანი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი ადმირალი სულეიმან ეზატი და სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაური ავიაციის მთავარი მარშალი სიდკი მაჰმუდი ეწვივნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს საბჭოთა კავშირის მარშალს ა. ა. გრეჩკოს. გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მუშაობა დაამთავრა

[illegible]-სემინარმა პარტიულ საკითხებზე

[illegible] მუშაობა დაამთავრა სამი დღის თათბირ-სემინარმა პარტიის საქალაქო და [illegible]ული კომიტეტების მდივნებისათვის, საორგანიზაციო განყოფილებათა გამ[illegible]ისათვის, პარტიის საოლქო კომიტეტების ორგანიზაციულ-პარტიული მუშა[illegible] განყოფილებათა გამგეებისათვის. თათბირ-სემინარი მოიწვია საქართველოს [illegible]ა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

[illegible]თბირ-სემინარი მიეძღვნა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონის ამაღლების საკითხებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

25-26 ნოემბერს მოისმინეს შემდეგი მოხსენებანი: საქართველოს კომპარტიის [illegible]ლისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნის ა. კარანა[illegible] — შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და პარტიული [illegible]ციპლინის განმტკიცების შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა [illegible]ორციელებისათვის" და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზ[illegible]ციული განყოფილების გამგის შ. ჟარკარაშვილისა — „ლენინგრადის ორ[illegible]ზაციის პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დანერგვა [illegible] თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში".

[illegible]ხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის სოხუმის საქალაქო [illegible]ტეტის პირველი მდივანი შ. შარტავა, პარტიის ბოლნისის რაიკომის პირ[illegible] მდივანი ვ. სანიკიძე, პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ბ. [illegible]ვილი, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ვ. კვარაცხელია, [illegible]ის ვანის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ყიფშიანი, საქართველოს კომპარ[illegible] ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე [illegible]ელაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი [illegible]ეტრაველი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერე[illegible] და სასწავლებელთა განყოფილების გამგე დ. ლაშქარაძე.

[illegible]თბირ-სემინარის მონაწილეებს ლექციები წაუკითხეს: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ბეგიაშვილმა — „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მთავარი მიმართულებანი", ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა [illegible]ძე — „წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების მეცნიერული სისტემა", ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა [illegible] — „ეკონომიური სისტემა და მისი მნიშვნელობა", ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა [illegible] — „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის [illegible]ოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა", ლექტორმა დ. ენუქიძემ — „[illegible] კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

[illegible]თბირ-სემინარზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური [illegible] კომიტეტის მდივანმა რ. ი. ფრუსიძემ. (საქდესი).

ახალციხელთა წარმატება

ახალციხე. (საკ. კორ.). ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა ათი თვის საწარმოო დავალების გადამეტებით გამოუშვა 83 ცალი მუდმივი დენის ელექტროძრავი. შრომის ნაყოფიერება გაზარდა 1,5 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით სახელმწიფოს მისცა 25 ათასი მანეთის ეკონომია.

ქარხანამ პროდუქცია გაგზავნა მოსკოვის, ლენინგრადის, ტაშკენტის, ხარკოვის, ბათუმის და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ქარხნებში, აგრეთვე საზღვარგარეთ.

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსა და ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ახალციხის ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივს მე-3 კვარტალში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის მიენიჭა პასუმე ფულადი პრემია.

261.000 მანეთი მოგება

ჭიათურის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა მაღაროელთა თაოსნობას და წარმატებით ასრულებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ფაბრიკის კოლექტივმა წელს გეგმის გადამეტებით გადაამუშავა 196 ტონა ჩაის ფოთოლი, მზა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 160 პროცენტით შეასრულა.

შრომის ნაყოფიერება გაზარდეთ 10,3 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირეთ 9,5 პროცენტით და საშობლოს 261.000 მანეთი მოგება მიეცით.

თავდადებული შრომით თავი ისახელეს საამქროს ოსტატებმა ზ. კასანაძემ და ც. გიორგაძემ, ახალგაზრდებმა ნ. ბიწაძემ, ლ. ფხალაძემ, დ. მოდებაძემ, ჭ. ცერცვაძემ, ა. პაპიძემ და სხვ.

ფაბრიკის კოლექტივი ახალი გამარჯვებებით შეხვდება საიუბილეო თარიღებს.

მერი ბუხრაშვილი,
ჭიათურის ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

ძმა ძმისთვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). შორს არის ქუთაისიდან ნახევარკუნძული მანგიშლაკი, რომელიც ახლა ხუთწლედის დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობად არის გამოცხადებული. მაგრამ მეგობრობამ არ იცის მანძილი.

ამას წინათ მანგიშლაკის მშენებლობასთან არსებულმა ხაკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის შტაბმა წერილით მიმართა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექციას და კომკავშირის კომიტეტს. მშენებლები სთხოვდნენ დახმარება გაეწიოთ მათთვის ავტომობილის სათადარიგო ნაწილების სასწრაფოდ მიწოდებაში.

ავტომშენებლები საქმიანად გამოეხმაურნენ მანგიშლაკელთა მოწოდებას და მათ ვადამდე გაუგზავნეს სათადარიგო ნაწილები. ამ ძმური დახმარებისათვის დამკვრელი მშენებლობის კოლექტივმა გულითადი მადლობის წერილი გაუგზავნა ქუთაისელ ავტომშენებლებს.

ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავს თბილისის ერთ-ერთი ახალი საწარმო — შალის საქსოვი ფაბრიკა, რომლის პროდუქციაზე ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც დიდი მოთხოვნილებაა.

წარმოებამ წლის დასაწყისიდან გამოუშვა 293.000 მეტრი შალის ქსოვილები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 286.000 მეტრისა.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით გამოუშვას კიდევ რამდენიმე ათასი მეტრი შალის ქსოვილი.

• • •

სურათზე: საქსოვი საამქროს მოწინავე მქსოველი, კომკავშირელი დარეჯან ბერიაშვილი (ზემოთ), მზა პროდუქციის კონტროლიორი მ. გოგაცა და წენმდებელი ლ. გაბოშვილი ითვალიერებენ ახალ პროდუქციას.

„ლუნა-12" ფრენას განაგრძობს

საჭლესის ცნობა

1966 წლის 25 ოქტომბერს მთვარის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილ იქო საბჭოთა ავტომატური სადგური „ლუნა-12".

განსვლილ პერიოდში სადგურმა „ლუნა-12"-მა მთვარეს 220-ჯერ შემოუარა, გაიფრინა სამ მილიონ კილომეტრზე მეტი.

ავტომატურ სადგურ „ლუნა-12"-თან რადიოკავშირის სეანსების დროს განხორციელდა ტრაექტორიული გაზომვები და მიღებულია ვრცელი მეცნიერული და ტელემეტრიული ინფორმაცია. სადგურმა „ლუნა-12"-მა დიდამიწაზე გადმოსცა მთვარის ზედაპირის ინფილტრული ფოტოსურათები.

მეცნიერული ინფორმაციის წინასწარ დამუშავების შედეგად მიღებულია დიდმნიშვნელოვანი მონაცემები მთვარის ზედაპირის რეტროგენისა და გამა-გამოსხივების, გრძელტალღიან დიაპაზონში რადიოგამოსხივების, მზისა და კოსმოსური გამოსხივების ინტენსივობის, აგრეთვე მთვარის ორგვლივ სივრცეში მიკრომეტეორული ნივთიერების კონცენტრაციის შესახებ.

ავტომატური სადგურის „ლუნა-12"-ის ფრენა გრძელდება. სადგურთან დამყარებულია მყარი რადიოკავშირი.

„ჩვენი ინტერვიუ"

სიამაყით ვაჯარებთ

ლაბარაკობენ შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატები

ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის შოთა რუსთაველის წლევანდელი იუბილე ამის დადასტურებაც იყო, რომ დღეს ქართულ ლიტერატურას და მის მდიდარ ტრადიციებს დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე იცნობენ. და თუ ჩვენი ეროვნული მწერლობის მონაპოვრები შორს გასცდა სამშობლოს საზღვრებს, ამას უნდა ვუმადლოდეთ მომმე ხალხების ლიტერატურათა საუკეთესო წარმომადგენლებსაც, რომლებიც ფასდაუდებლად შრომობენ მისი პოპულარიზაციისათვის.

ქართული კულტურის უგულითადეს მეგობრებს შორის ჩვენ დღეს სიყვარულით ვახსენებთ ნიკოლოზ ტიხონოვსა და მიკოლა ბაჟანს, რომლებიც ათეული წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურებიან ჩვენი მწერლობის შორს გატანის საქმეს, სწორედ ამიტომაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა ქართველი ხალხი და ქართველი საზოგადოებრიობა საბჭოთა მწერლობის ამ ორი გამოჩენილი მოღვაწისათვის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მინიჭებას.

გუშინ გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა ნიკოლოზ ტიხონოვსა და მიკოლა ბაჟანს და ინტერვიუ სთხოვა მათ. აი რა თქვეს ჩვენმა მეგობრებმა:

ნიკოლოზ ტიხონოვი — საერთოდ ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის განსაკუთრებით სამახსოვრო დღე. ასეთი დღე ჩემთვის იყო 1966 წლის 25 ნოემბერი, როცა მე და ჩემს მეგობარს, შესანიშნავ უკრაინელ პოეტსა და მოქალაქეს მიკოლა ბაჟანს გადმოგვცეს შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

ეს ძალიან დიდი ჯილდოა. მაგრამ იგი მეკუთვნის არა მარტო მე, არამედ მთელ რუსულ საბჭოთა პოეზიას, პირველ რიგში იმათ, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნისა და პროპაგანდის საქმეში. აქ პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ვიქტორ გოლცევი, პავლე ანტოკოლსკი.

ისიც არ უნდა „დავიწყოთ, რომ ეს მაღალი პრემია ჩვენ მოგვანიჭეს 1966 წელს — რუსთაველის წელს, ჩვენი ხალხების დიდი კულტურული ზეიმის წელს. ეს ზეიმი კი მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანებმა გაიზეიმეს.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პრემია არის შოთა რუსთაველის სახელობისა, რომელიც 800 წლის წინათ ცხოვრობდა, მაგრამ მისი რვა საუკუნის პოემა დღესაც ისე ყღერს, როგორც ჩვენი თანამედროვე. აი ეს არის პოეტის უკვდავება.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატობის წოდებას მუდამ სიამაყით ვატარებ.

მიკოლა ბაჟანი — გულს ყოველთვის უხარია, როცა შენს თავდადებულ შრომას აფასებენ. მით უფრო დიდია ჩემი სიხარული, როცა ჩემი მეგობრული გარჯილობა ქართველმა ხალხმა თავისი უმაღლესი ჯილდოთი შეაფასა.

მე ვერასოდეს ვერ ვიტყვი, თითქოს შევძელი დიდი რუსთაველის უკრაინულად ამეტყველება. ადერ უკვე 30 წელზე მეტია „ვეფხისტყაოსანს" ჩემი მშობელი ხალხის ენაზე აყალერებისათვის ვმუშაობ. მაგრამ რაც დღემდე შევძელი, იგი, ცხადია, ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისაგან.

დღეს არ შემიძლია არ გავიხსენო აწ ჩვენგან წასული სოლომონ იორდანიშვილი, რომლისგანაც დიდად ვარ დავალებული. მან დიდი დახმარება გამიწია თარგმანზე მუშაობისას. ცხადია, ჩემი მძიმე შრომის დროს მუდამ მეგობრულად მედგნენ მხარში ჩემი ძვირფასი მეგობრები სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ლეონიძე...

რაც დღემდე გავაკეთე ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების უკრაინულად თარგმნისათვის, ვფიქრობ, ეს მხოლოდ მცირე წვლილია.

მომავალშიც ქართული მწერლობის მეგობარი, და მუშაკი ვიქნები. ჩვენ განსაკუთრებული ვალი გვაქვს ვაჟა-ფშაველას წინაშე. არასრულყოფილი თარგმანების გამო ვაჟა-ფშაველა ჯეროვნად არ არის შესწავლილი და შეფასებული. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტია...

შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატობა დიდი პატივი და სიხარულია ჩემთვის.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. იხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. ე. შელესტის მოხსენებას „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების შესახებ".

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ მინისტრები, რესპუბლიკის ორგანიზაციათა და უწყებათა ხელმძღვანელები, საწარმოთა დირექტორების ჯგუფი.

ჩვენს დიად სეზონზე

[illegible]

[illegible]

[illegible]ია, 26 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აქ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 24 ნოემბერს ბრატისლავის (ჩეხოსლოვაკია) მახლობლად საავიაციო კატასტროფის დროს ტრაგიკულად დაიღუპნენ ჩილის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც ესწრებოდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობას. ჩილის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილე [illegible] გონსალესი და ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ხორხე რამირესი, იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ კატასტროფის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ ეურნალ „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემების" რედაქციაში არგენტინის, ბრაზილიის, ჰონდურასისა და იაპონიის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები.

პრეზიდენტ ტიტოს გამოსვლა

ბრაზავილი, 26 ნოემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯოზეფ ბროზ ტიტომ, რომელიც გუშინ გამოვიდა ჯინშასაში, გადაჭრით გააფრთხილა ისინი, ვინც თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობით და ტენდენციური ხმების გავრცელებით ცდილობს ხელი შეუშალოს ჯინშასის კონგოსა და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაციას.

„კონგო, — ხაზი გაუსვა მან, — სუვერენული ქვეყანაა, და ჩვენ ვადასტურებთ, რომ მივიღებთ, თუმცა ეს ზოგიერთს არა სურს, ნებისეთის დიპლომატურ მისიას ან რომელიმე სხვა აღმოსავლეთის მისიას, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები".

შეეხო რა თავისი მთავრობის აფრიკულ პოლიტიკას, პრეზიდენტმა მიუთითა დაადასტურა აფრიკის ქვეყნების ერთობის, ორგანიზაციისადმი ერთგულება.

[illegible]

მოლაპარაკება სოლსბერიში

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სოლსბერიში დაიწყო მოლაპარაკება რასისტ პრემიერ სმიტსა და ინგლისის ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრ ჰერბერტ ბოუდენს შორის. მოლაპარაკება მიმდინარეობს „სრული სიდამოუკიდებლობის" ეითარებაში, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს სოლსბერიელი კორესპონდენტი.

პოლიტიკურ მეთვალყურეთა წრეებში პესიმისტურად ეკიდებიან ინგლისის ცდას შეუთანხმდეს სამხრეთროდეზიელ რასისტთა მეთაურს და ვარაუდობენ, რომ სოლსბერის მოლაპარაკება ვერ მოიტანს რაიმე დადებით შედეგს.

ბელგიის სოციალისტური პარტიის ჟრილოგა

ბრიუსელი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ბელგიის ერთ-ერთი უდიდესი ოპოზიციური პარტიის — ბელგიის სოციალისტური პარტიის მორიგი ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგშია შემოუშვის პარტიის პროგრამა ბელგიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე უახლოესი დროისათვის.

ოსტინი, (ტეხასის შტატი), 26 ნოემბერი. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ვ. პეტერსენისა ოუწყება:

პრეზიდენტი ჯონსონი გუშინ თავის ტეხასის რანჩოში ესაუბრა ვიეტ-პრეზიდენტ ჰუმფრისა და კონგრესის დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ლიდერებს. თათბირზე იხილავდნენ საერთაშორისო პრობლემებსა და სამხედრო საკითხებს. პრეზიდენტმა მიმოიხილა ვიეტნამის სამხედრო მდგომარეობა შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის უილერისა და სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდლის გენერალ უესტმორლენდის მოხსენებათა საფუძველზე. მან აგრეთვე თათბირის მონაწილეებს დაანახა „დიპლომატიური სიტუაცია" ამერიკის შეერთებული შტატების სიგონელი ელჩის ლოჯის მოხსენების საფუძველზე.

თათბირის შემდეგ ჯონსონმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის ჯარები სამხრეთ ვიეტნამში „ინარჩუნებენ ინიციატივას და მოსდით... მცირე ხარალი".

როგორც ჯონსონმა თქვა, თათბირის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა მთავრობის იმ გეგმების განხილვას, რომ სამ მილიარდ დოლარზე მეტით შემცირდეს ფედერალური ხარჯები, რომლებიც მიმდინარე საფინანსო წლის ბიუჯეტით აის გათვალისწინებული. „რეზიდენტმა ხაზგასმით ალნინა, რომ ამჟამად ანალიზებენ „მთელ ბიუჯეტს" ვიეტნამის ომის შესაბამისად ყველა არარსებითი ხარჯების შემცირებისა და გადადებისათვის, ანა რომ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ შემდეგ კვირაში".

პრეზიდენტის, აგრეთვე პრეს-კონფერენციაზე გამოსული სენატის დემოკრატთა ლიდერის მენსფილდისა და რესპუბლიკელთა ლიდერების — სენატორ დირქსენისა და კონგრესმენ ფორდის სიტყვებიდან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ მთავრობას სერიოზული საბიუჯეტო სიძნელენი აქვს და აპირებენ ცდილობს გამოსახოს გამოსავალი ამერიკის სოციალური და ეკონომიური საჭიროებისათვის გათვალისწინებული ხარჯების შემცირების გზით. სავარაუდოა, რომ ჯონსონის მიერ მოყვანილი მთავრობის ამ ორგანოების სიაში, რომლებმაც უნდა გამონახონ „არაარსებითი ხარჯების" მუხლები, მოხსენებული იყო ყველა სამინისტრო და საუწყებო, კერძა პენტაგონისა.

ჯონსონმა პირველად გუშინ გამართა ორპარტიული თათბირი თავის რანჩოში. მას აშკარად სურდა შეეპირებინა რესპუბლიკური პარტია. რომლის პოზიციები განმტკიცდა ამასწინანდელი არჩევნების დროს, რომ მხარს დაუჭერს ამ სერიოზულ ფინანსურ ღონისძიებათა განხორციელებაში.

ლ. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲨᲝᲗᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

ᲔᲓᲘᲜᲑᲣᲠᲒᲘ, 26 ნოემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ვ. ჩუკსეევი იუწყება:

გულთბილად და მეგობრულად შეხვდა გუშინ შოტლანდიის ძველი დედაქალაქი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს რუსეთის ფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. ი. ვორონოვი.. ბრიტანეთის პარლამენტის მოწვეული საბჭოთა სტუმრები ამ დღეებში მოგზაურობენ აქ, ეცნობიან დიდ ბრიტანეთსა და მის ხალხს.

დილიდან დელეგაციამ დაათვალიერა შოტლანდიის მეფეთა რეზიდენცია, შოტლანდიის ერთ-ერთი ისტორიული ღირსშესანიშნაობა, ჰოლიროუდჰაუზის სასახლე. ამის შემდეგ საბჭოთა სტუმრები შეხვდნენ ბრიტანეთის კუნძულების ამ რაიონის ახალგაზრდა წარმომადგენლებს — ედინბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

ამ უმაღლესი სასწავლებლის მთავარი სპეციალობაა მედიცინა, მაგრამ მას აქვს აგრეთვე მთელ სახელმწიფოში განთქმული ჰუმანიტარული ფაკულტეტი. უნივერსიტეტში საბჭოთა სტუმრები რუსულად ესაუბრნენ რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის სტუდენტებს, რომელზეც ახლა 70-მდე კაცი სწავლობს. ჩვენ ისე ვგრძნობთ თავს, როგორც შინ, აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გ. ი. ვორონოვმა. შოტლანდიელთა ინტერესი ჩვენი ენისადმი, თქვა მან, საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ ორი ქვეყნის მეგობრული კავშირურთიერთობა. და ჩვენი, როგორც პარლამენტარების, ამოცანაა განვამტკიცოთ ასეთი კონტაქტები. გ. ი. ვორონოვმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს გადასცა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 250 წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებული სამახსოვრო მედალი, აგრეთვე პატარა ბიბლიოთეკა.

პროფესორმა უოლშმა, რომელიც კაზმული ხელოვნებათა ფაკულტეტს მეთაურობს, მადლობა გადაუხადა ამ საჩუქრისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სულ უფრო იზრდება სტუდენტთა ინტერესი რუსული ენისა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისადმი.

ქალაქის ხელისუფლებამ საბჭოთა დელეგაციას გაუმართა საუზმე, რომელზეც გ. ი. ვორონოვმა და ქალაქის უფროსმა მრჩეველმა რიჩარდსმა სტუმარი წარმოთქვეს. თქვენ შოტლანდიის დედაქალაქს ყველაზე სასურველი სტუმრები ხართ, განაცხადა რიჩარდსმა. თქვენ იცით, რომ ედინბურგის ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა, და ამისათვის ჩვენ ჯეროვანი უნდა მიუზღაო თქვენს ერს. ახლა რუსულ ენას, თქვა მან, სწავლობენ ჩვენი ქვეყნის ბევრ სკოლაში და ამედი მაქვს, რომ მომავალში ისინი, ვინც შემცვლის ჩემს პოსტზე, რუსულ ენაზე გესაუბრებიან.

მადლობა გადაუხადა რა ამ გულთბილი სიტყვებისათვის, გ. ი. ვორონოვმა თქვა, რომ დელეგაცია დიდი ინტერესით ეცნობა შოტლანდიას. ჩვენ ვცდილობთ, აღნიშნა მან, ხელი შევუწყოთ ჩვენი მეგობრობის განმტკიცებას.

საბჭოთა დელეგაციამ დაათვალიერა ახალი მშენებლობის რაიონი, იყო ვიხილეს ქარხანა „დინტილერსში“ მას უჩვენეს აგრეთვე შოტლანდიური შალის ნაწარმის გამოფენა. საღამოს შოტლანდიის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჯ. უილისმა ედინბურგის სახალხო სახლში სადილი გაუმართა საბჭოთა დელეგაციას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲝ, 25 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტში საბჭოთა და იტალიელი ჟურნალისტები შეხვდნენ საბჭოთა და საზღვარგარეთის ქალაქებთან ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს, ხარკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გ. ე. ვლასენკოს.

საუბრის დროს გ. ე. ვლასენკომ განაცხადა, რომ ასოციაცია ახლა ურთიერთობს საბჭოთა კავშირის ას ქალაქს, რომელთა მოსახლეობა დაახლოებით 50 მილიონია და რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ბევრი ქვეყნის ორასზე მეტ ქალაქთან, სადაც ამდენივე მოსახლეობაა.

გ. ე. ვლასენკო შეეხო დახმარებას, რომელსაც საბჭოთა ხალხი უწევს იტალიელ მშრომელებს და აღნიშნა, რომ წყალდიდობის გამო, რომელიც თავს დაატყდა ამ ქვეყანას, ასოციაციის პრეზიდიუმმა 17 ნოემბერს იტალიის დემოკრატიული კომუნების ლიგას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ქალაქების მოლოტოვით მცხოვრებლებ სახელით დიდ თანაგრძნობას გამოთქვამს.

ძმური სოლიდარობის გრძნობით, ნათქვამია დეპეშაში, საბჭოთა ქალაქების მცხოვრებლები ჩვენი ასოციაციის მეშვეობით მატერიალურ დახმარებას უგზავნიან დაზარალებული რაიონების მოსახლეობას. ამავე დროს დახმარებას გაუწევენ ქალაქები: კიევი, ხარკოვი, ლვოვი, კოსტანტა, ალბანოლი, ნოვოროსიისკი და თბილისი თავიანთ იტალიურ ძმადნაფიც ქალაქებს, სადაც მძიმე მდგომარეობა შექმნა. ორმა თანაგრძნობის დეპეშები გაუგზავნეს აგრეთვე სხვა ძმადნაფიცი ქალაქების მოსახლეობას: კიევმა — ფლორენციას, თბილისმა — სიენას, ალბანოლმა — ფერარას, ნოვოროსიისკმა — ლივორნოს, ხარკოვმა — ბოლონიას.

ალბათ, დღეს ქალაქ ბოლონიის მოსახლეობა მიიღებს ხარკოვიდან 19 ნოემბერს რკინიგზით გაგზავნილ 4 ტონა კარაქს, 5 ტონა შაქარს, 10 ათას ქილა შესაქელეტულ რძესა და ხილის ჯემს, 500 თივთივიკს საბანს.

დაახლოებით ასეთივე დახმარება გაუგზავნა კიევმა ფლორენციას.

21 ნოემბერს ძმადნაფიც ქალაქებს ფერარასა და ლივორნოს სურსათი და საოჯახო ნივთები გაუგზავნეს ალბანოლმა და ნოვოროსიისკმა. ამავე დღეს დახმარება გაეგზავნა თბილისიდან სიენას. 23 ნოემბერს დემოკრატიული კომუნების ეროვნულ ლიგას საბჭოთა კავშირისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის ასოციაციამ გაუგზავნა 7 ტონაზე სურსათი.

ქალაქებმა მოსკოვმა, ლენინგრადმა, ხარკოვმა და კიევმა სურვილი გამოთქვეს ფლორენციასა და იტალიის სხვა ქალაქებში გაგზავნონ რესტავრატორები იტალიის კულტურის უძვირფასესი ძეგლების აღდგენაში დასახმარებლად.

გ. ე. ვლასენკომ უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ინდოეთის ხალხსა და მთავრობას საჩუქრად გადასცემს მოწყობილობასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს 5 სახელმწიფო მეთესლეობის ფერმის შესაქმნელად, რომელთაგან თითოეულის ფართობი იქნება 7.500-10.800 აკრი.

შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირი უსასყიდლოდ გადასცემს ინდოეთს ამ ფერმებისათვის ტრაქტორებს, ბულდოზერებს, თხრილსათხრელებს, სათეს მანქანებს, კომბაინებსა და სხვა მანქანებს, აგრეთვე სარემონტო მოწყობილობას.

ᲠᲘᲚᲘᲦᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ, 26 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ჩილის დედაქალაქში ჩამოვიდა საბჭოთა კოსმონავტი ალექსი ლეონოვი, მსოფლიოში პირველი ადამიანი, რომელიც ხომალდიდან გავიდა კოსმოსურ სივრცეში. საბჭოთა კოსმონავტი დაესწრება საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის 59-ე გენერალურ კონფერენციას, რომელიც 29 ნოემბერს იხსნება აქ. საერთაშორისო საავიაციო ფედერაცია ა. ლეონოვს გადასცემს ოქროს მედალს მისი გმირობისათვის.

დედაქალაქის აეროპორტში ჩილიელები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კოსმონავტს. „ქეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩილიში, კოსმისელო მოგზაურო“ — წარწერილია აეროპორტის შენობაზე გაკრული დიდ ტრანსპარანტზე.

ა. ლეონოვთან ერთად სანტიაგოში ჩამოვიდა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი საბჭოთა გამომცდელი მფრინავი ვლადიმერ კოკინაკი.

საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის ახლანდელ კონფერენციაში, რომელიც პირველად იმართება სამხრეთ ამერიკაში, მონაწილეობას მიიღებენ 26 ქვეყნის დელეგატები.

ᲞᲐᲢᲠᲘᲡ ᲚᲣᲛᲣᲛᲑᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ, 25 ნოემბერი. (საკდესი). კონშასის კონგოს მთავრობამ გადაწყვიტა რომ ამ ქვეყნის პირველი პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების დახოცვის ადგილი გადაქცეთ „საერთაშორისო თავისუფლების ცენტრად“. ეს განაცხადა დღეს პრეზიდენტმა მობუტუმ კინშასში გამართულ მიტინგზე გამოსვლისას.

როგორც ცნობილი გახდა, თქვა მობუტუმ, პატრის ლუმუმბა და მისი თანამებრძოლები დახოცეს ლუმუმბაში (ყოფილი ელიზაბეტვილი) ერთ-ერთ ვილაში, რომელიც რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს ლუანოს აეროდრომიდან. ქუჩას, რომელზეც მდებარეობს ეს ვილა, უკვე ეწოდება პატრის ლუმუმბას სახელობის ბულვარი.

პრეზიდენტმა შემდეგ აღნიშნა, რომ გამოცხადდება სახსრების ეროვნული და საერთაშორისო შეგროვება, რომლითაც კინშასაში ძეგლს დაუდგამენ კონგოს ეროვნულ გმირს, ლუმუმბას ძეგლები დაიდგმება აგრეთვე ლუმუმბაშისა და კინშასის კონგოს სხვა ქალაქებში.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ IX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

სოფია, 25 ნოემბერი). (საკდესი). მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირების გადამწყვეტი ფაქტორია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობა, ნათქვამია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის რეზოლუციაში, რომელიც დღეს ბულგარეთის დეპეშათა სააგენტომ გადასცა. ბულგარეთის კომუნისტური პარტია დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მომძე პარტიების ხელმძღვანელობის თანამიმდევრულ პრინციპულ საქმიანობას, რომლის მიზანია აღდგინოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ყრილობა იწონებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცების იმ ხაზს, რომელიც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს, და გმობს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის გამოიშვილ საქმიანობას. ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, ნათქვამია რეზოლუციაში, რომ სულ უფრო მწიფდება პირობები კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევისათვის.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობამ, აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, ერთსულოვნად გაიზიარა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემული შეფასებანი, დასკვნები და დასახული ამოცანები.

ყრილობას მიაჩნია, რომ საანგარიშო პერიოდში წარმატებით არის გადაჭრილი ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანები, რომლებიც პარტიისა და ხალხის წინაშე იდგა.

ხელმძღვანელობენ რა ინტერნაციონალური მოვალეობით, ხაზგასმულია რეზოლუციაში, ბულგარეთის კომუნისტური პარტია და ბულგარეთის სახელმწიფო ბოლო წლებში თავიანთ შესაძლებლობათა კვალობაზე მორალურ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას უწევენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამერიკელ იმპერიალისტთა ბარბაროსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დოკუმენტში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ პარტია კვლავაც მთელ თავის ძალებს, ენერგიას, მთელ თავის რევოლუციურ გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარს საერთო ბრძოლას სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული მშვიდობიანი ამოცანების განხორციელებისათვის, იმას, რომ სოციალისტური თანამეგობრობა გადაიქცეს მშვიდობისა და სოციალური პროგრესის უძლეველ ბასტიონად.



ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ინდოეთში ქალაქ ჰარდვარში შენდება მძიმე ელექტრომოწყობილობის ქარხნის კორპუსები. ეს ერთი იმ 40 ობიექტთაგანია, რომლებიც მეგობრულ ინდოეთში საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება. ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მშენებლობის საერთო ხედი.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 26 ნოემბერი. (საკდესი). ამ ბოლო დროს თურქეთში ძლიერდება პროტესტები იმის გამო, რომ თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკის ჯარები და სამხედრო ბაზები. „თურქეთში ბევრი ფიქრობს, — წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტში“ მისი სტამბოლელი კორესპონდენტი სიმ ჯონი, — რომ ამერიკა-თურქეთის ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატების თურქეთში განლაგებული სამხედრო ბაზებისა და სამხედრო პერსონალის სტატუსის შესახებ შეუთავსებელია ამ უკანასკნელის სუვერენიტეტთან“.

თურქეთის საზოგადოებრიობის პროტესტის გაძლიერებასთან დაკავშირებით თურქეთის ხელისუფალნი ახლა შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან ერთად აწარმოებენ მოლაპარაკებას თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკის ჯარების შემდგომი სტატუსის შესახებ.

პენტაგონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ აპირებენ უახლოეს ხანში შეამცირონ თავიანთი ჯარების რიცხვი თურქეთში, სადაც ახლა 30 ათასამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა და მათი ოჯახების წევრია.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 26 ნოემბერი. (საკდესი). პრესაში დაიბეჭდა მთელი რიგი სტატიები თურქეთ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ, რომლებიც მოწმობენ, რომ იზრდება ამერიკის საწინააღმდეგო განწყობილებანი თურქეთში. „ერძოდ, გაზეთ „ჯუმჰურიეთში“ დოქტორი ჰალუკ იულმანი აღნიშნავს; ერთ-ერთი მიზეზი, რომ სულ უფრო მატულობს მტრული განწყობილება შეერთებული შტატებისადმი, ის არის, რომ ამერიკა ახორციელებს თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკას. ავტორს მაგალითად მოჰყავს სენატორ ტუნჩკანატის დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ამერიკელები სადაზვერვო საქმიანობას ეწევიან თურქეთში და მზარს უჭერენ ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმდინარეობებს. ჰალუკ იულმანი მოიხსენიებს დაუყოვნებლივ გაუქმონ საიდუმლო შეთანხმებანი, რომლებსაც დამოკიდებულება არა აქვთ თურქეთის უშიშროების უზრუნველყოფასთან, აგრეთვე ის შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ამერიკის პერსონალის განსაკუთრებულ პრივილეგიებს თურქეთში, რაც არსებითად ხელს უწყობს ადრე არსებული კაპიტულაციის სამარცხვინო სისტემის აღორძინებას. ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ ამერიკის დახმარება მიზნად ისახავს არა თურქეთის ეკონომიური აღმავლობას, არამედ ემსახურება მხოლოდ დასავლეთის სტრატეგიულ ინტერესებს.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 26 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი იუწყება: გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ... ამტკიცა მეორე კომიტეტის მიერ ... კომენდებული რეზოლუცია ბუნებრივ რესურსებზე სუვერენიტეტის შესახებ. ეს რეზოლუცია, რომელსაც ... ულად დაუჭირეს მხარი აფრიკის, აზია და ლათინური ამერიკის განვითარებად ... ქვეყნებმა და სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, მოწონებულ იქნა 104 ხმა უმრავლესობით. დასავლეთის 6 დელეგაციამ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ბელგიის დელეგაციებმა, თავი შეიკავეს, როცა ... ჩი უყარეს ამ რეზოლუციას, რომელ... ადასტურებს ყველა ქვეყნის ხელშეუ... უფლებას ახორციელებდეს სუვერენიტეტს ბუნებრივ რესურსებზე თავ... ეროვნული განვითარების ინტერესებ... სათვის.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 25 ნოემბერი. (საკდ... დღეს გაერთიანებული ერების ორგა... ზაციის უშიშროების საბჭომ დ... ისრაელი იმისათვის, რომ 13 ნოემბ... შეიარაღებული თავდასხმა მოახ... იორდანიაზე. მალისა და ნიგერიის ... ციატივით მიღებული რეზოლუცია ... რთხილებს ისრაელის მთავრობას, ... თუ განმეორდება მსგავსი საომარი ... ები მეზობელი არაბული ქვეყნების ... ნაღმდეგ, უშიშროების საბჭო ... ბული გახდება განიხილოს წესდ... გათვალისწინებული შემდგომი და ... ეფექტიანი ღონისძიებანი. საბჭოს ... ნია, რომ ისრაელის შეიარაღებულ ... ლების დიდი და გულდასმით დაკვ... თავდასხმა იორდანიაზე არღვევს ... თიანებული ერების ორგანიზაციის ... დებას და იორდანია-ისრაელის შ... ხმებას დაზავების შესახებ.

ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 25 ნოემბერი. (საკდ... კამბოჯის მუდმივმა წარმომადგინელ... გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ... ჭოტ სამბატმა დღეს გამოქვეყნებულ ... წერილში უშიშროების საბჭოს თავმ... მარის სახელზე აცნობა, რომ მომ... რე წლის 3-დან 31 აგვისტომდე ამ... კისა და სამხრეთ ვიეტნამის თვითმფ... ნავები 56-ჯერ შეიჭრნენ კამბოჯის ... ერო სივრცეში.

სექტემბერსა, ოქტომბერსა და ნ... ბერში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ... ლების შეჭრა არ შეწყვეტილა.

ჭოტ სამბატმა საბჭოს თავმჯდომა... აცნობა აგრეთვე, რომ გახშირდა კამ... ჯის ტერიტორიული წყლების დარღვ... შემთხვევები.

კამბოჯის სამეფო მთავრობა, ნათქ... წერილში, მტკიცე პროტესტს აცხ... საჰაერო სივრცისა და ტერიტორიუ... წყლების ამ დარღვევათა წინააღმდეგ ... მოითხოვს ამერიკის შეერთებული ... ტების მთავრობისა და „საიგონის მ... რობისაგან“ დაუყოვნებლივ შეწყვ... ამგვარი მოქმედება.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲨᲝᲗᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

ᲔᲓᲘᲜᲑᲣᲠᲒᲘ, 26 ნოემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ვ. ჩუკსეევი იუწყება:

გულთბილად და მეგობრულად შეხვდა გუშინ შოტლანდიის ძველი დედაქალაქი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუსეთის ფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. ი. ვორონოვი.. ბრიტანეთის პარლამენტის მოწვეული საბჭოთა სტუმრები ამ დღეებში მოგზაურობენ აქ, ეცნობიან დიდ ბრიტანეთსა და მის ხალხს.

დილიდან დელეგაციამ დაათვალიერა შოტლანდიის მეფეთა რეზიდენცია, შოტლანდიის ერთ-ერთი ისტორიული ღირსშესანიშნაობა, ჰოლიროუდჰაუზის სასახლე. ამის შემდეგ საბჭოთა სტუმრები შეხვდნენ ბრიტანეთის კუნძულების ამ რაიონის ახალგაზრდა წარმომადგენლებს — ედინბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

ამ უმაღლესი სასწავლებლის მთავარი სპეციალობაა მედიცინა, მაგრამ მას აქვს აგრეთვე მთელ სახელმწიფოში განთქმული ჰუმანიტარული ფაკულტეტი. უნივერსიტეტში საბჭოთა სტუმრები რუსულად ესაუბრნენ რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის სტუდენტებს, რომელზეც ახლა 70-მდე კაცი სწავლობს. ჩვენ ისე ვგრძნობთ თავს, როგორც შინ, აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გ. ი. ვორონოვმა. შოტლანდიელთა ინტერესი ჩვენი ენისადმი, თქვა მან, საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ ორი ქვეყნის მეგობრული კავშირურთიერთობა. და ჩვენი, როგორც პარლამენტარების, ამოცანაა განვამტკიცოთ ასეთი კონტაქტები. გ. ი. ვორონოვმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს გადასცა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 250 წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებული სამახსოვრო მედალი, აგრეთვე პატარა ბიბლიოთეკა.

პროფესორმა უოლშმა, რომელიც კაზმული ხელოვნებათა ფაკულტეტს მეთაურობს, მადლობა გადაუხადა ამ საჩუქრისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სულ უფრო იზრდება სტუდენტთა ინტერესი რუსული ენისა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისადმი.

ქალაქის ხელისუფლებამ საბჭოთა დელეგაციას გაუმართა საუზმე, რომელზეც გ. ი. ვორონოვმა და ქალაქის უფროსმა მრჩეველმა რიჩარდსმა სიტყვები წარმოთქვეს. თქვენ შოტლანდიის დედაქალაქს ყველაზე სასურველი სტუმრები ხართ, განაცხადა რიჩარდსმა. თქვენ იცით, რომ ედინბურგის ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა, და ამისათვის ჩვენ ჯეროვანი უნდა მიუზღაო თქვენს ერს. ახლა რუსულ ენას, თქვა მან, სწავლობენ ჩვენი ქვეყნის ბევრ სკოლაში და ამედი მაქვს, რომ მომავალში ისინი, ვინც შემცვლის ჩემს პოსტზე, რუსულ ენაზე გესაუბრებიან.

მადლობა გადაუხადა რა ამ გულთბილი სიტყვებისათვის, გ. ი. ვორონოვმა თქვა, რომ დელეგაცია დიდი ინტერესით ეცნობა შოტლანდიას. ჩვენ ვცდილობთ, აღნიშნა მან, ხელი შევუწყოთ ჩვენი მეგობრობის განმტკიცებას.

საბჭოთა დელეგაციამ დაათვალიერა ახალი მშენებლობის რაიონი, იყო ვიხილეს ქარხანა „დინტილერსში“ მას უჩვენეს აგრეთვე შოტლანდიური შალის ნაწარმის გამოფენა. საღამოს შოტლანდიის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჯ. უილისმა ედინბურგის სახალხო სახლში სადილი გაუმართა საბჭოთა დელეგაციას.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲕᲐᲮᲩᲘᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

25 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის IV პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი: „ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები დაჟეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლისათვის სამრეწველო საწარმოთა მრეწველობის საქმეში“. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ... შვილმა.

„ყსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: პარტიის 26 კოსრის სახელობის რაიონის კომიტეტის მდივანმა თ. მოსაშვილმა, ჩაის სასენი ფაბრიკის დირექტორმა მ. სარჯველაძემ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა შ. ... ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა ლ. ... სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ხუციშვილმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რესპუბლიკა სახალხო მეურნეობის ეკონომიკა და დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორი მოადგილე ... ბაქრაძემ, № 1 ... ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ... ბაბიშვილმა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ, ... ბრილად ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წელი) პლენუმის დადგენილებებსა და პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ, თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისა და შრომელთა შრომითი აქტივობის გადიდების საფუძველზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

თბილისის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა როგორც წარმოების საერთო მოცულობის, ისე მეტ წილ სახეობათა როდენობის გამოშვების მიმდინარე წლის ... გეგმა. ქალაქის მშრომელებმა ვადაზ, სამი თვით ადრე შეასრულეს სოციალისტური ვალდებულება, რომლითაც გათვალისწინებული იყო 17 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება 1966 წლის დამლევამდე.

მეტი წილი საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა, და საკონსტრუქტორო ბიუროების პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორად გაიგეს ამოცანები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა და პარტიის XXIII ყრილობამ დაუსახეს, და უნარიანად მეთაურობენ მუშაობას თავიანთი კოლექტივების მოსამზადებლად მუშაობის ახალ პირობებზე გადასვლისათვის. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მუშაობის ახალ პირობებზე გადაყვანილია ჩაისა და თამბაქოს მრეწველობის საწარმოები, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა და № 1 და № 5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო მეურნეობანი.

დროის მცირე შუალედის მიუხედავად ახლებურად მომუშავე საწარმოებმა უკვე მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს წარმოების ეფექტიანობის გადიდებაში, რეალიზაციის გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში, რენტაბელობის ზრდასა და ზეგეგმით მოგების გადიდებაში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, მატერიალური სტიმულირების ფონდების შექმნაში და სხვ.

აჩეკად მუშუკი, კვების, ხისსამუშაოებელი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში სამეურნეო რეფორმასთან დაკავშირებული დიდი მოსამზადებელი მუშაობა წარმოებს. ბევრ საწარმოში ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამ რეფორმის ორგანიზებულად განხორციელებისათვის ბევრ დიდ საწარმოში, აგრეთვე პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის შექმნილია ეკონომიური სკოლები და კურსები, სემინარები, წრეები, შემოღებულია მთავარი ეკონომისტის თანამდებობა.

ამასთანავე პლენუმზე აღინიშნა, რომ მუშაობის ახალ მეთოდებზე გადასვლისათვის საწარმოთა მომზადების საქმეში მთელ რიგ საწარმოებს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ. სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო სრულად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ რეფორმას. უფრო მეტიც, ისინი ურიგდებიან ჩამორჩენას გეგმების შესრულებაში და არ ახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს მის აღმოსაფხვრელად, რაც, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოთა მომზადებაზე ახალ პირობებში სამუშაოდ. მაგალითად, მიმდინარე წლის განვლილ 10 თვეში ქალაქის 14 საწარმომ ვერ შეასრულა სახელმწიფო გეგმები. ჩამორჩენილთა შორის არიან პლასტმასის ქარხანა, ქარხნები „ელექტროგამშვები“, „ელექტროავტომატი“, პატარა სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი. № 9 საგზაო-სარემონტო-მექანიკური ქარხნები; მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკა, წინდის ფაბრიკა „კრწანისი“, № 4 ტრიკოტაჟის ფაბრიკა და სხვ. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ხელოვნური ბოჭკოს სართავი, მოდელის ფეხსაცმლისა და სათამაშოების ფაბრიკები. ახალ სისტემაზე გადასვლისათვის სუსტად წარმოებს მოსამზადებელი მუშაობა აგრეთვე № 1 აგბოსარემონტო, № 1 მექანიკურ ქარხნებში

მოპასტალტაგული გზა მატნის ბოლოზე თავდება და მერე ფართო გზატკეცილი იწყება. ეს გზა მთებშუა მიემართება. პანკისის ხეობაში ...ბედილ პატარ-პატარა სოფლებს აივ...ს და ბაწარასთან წყდება.

...ანკისის ხეობა ულამაზესია ზამთარსა ...ე ზაფხულში. ზამთარი თბილი, სრულად უქარო იცის, ზაფხული — უსაყვო. ირგვლივ გორები შემორტყმია ...ოფლებს, ხოლო დასავლეთიდან თავს ...ადგომია მაღალი მთა სპეროზია, რომ...ოდანაც ალაზანი იღებს სათავეს და ...ოლის იალაღებსაც ზაფხულობით პა...ხელების ცხვარ-ძროხა შეეფინება ...ლმე. ამ მთის ძირას ბაწარას ტყეა. ...ე კაცი სეჭტემბერში ან ოქტომბერში, ...ბის მყვირალობის ჟამს, ერთ ღამეს მა...ც გაათევს აქ, ღამის მყუდროებაში ...ოგონებს ხარ-ირმის ბღავილს. გაიგო...ებს და არ შეიძლება არ გაახსენდეს ...ბუტი ბაგრატიონის განთქმული წიგ...„აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, ...ც დიდი გეოგრაფი სხვათა შორის ...ეთ ცნობას გვაწვდის: „ხოლო ხეობა ...ენისა არის ვენახოვანი, ხილიანი...ალენი და მთის ქერძნი, ვითარცა მთა...ადგილნი, თევზნი, კალმახნი, ტყე...ბრიანი, მრავალთა ნაყოფიერი თვი...ერ ბრინჯ-ბანბისნა“.

...ას აქეთ საქართველოს თავზე ბევრი ...ღურება დატრიალდა, გარეშე მოძა...ებების ხელით დაინგრა სარწყავი არ...ი, მოიშალა მეურნეობა, გაჩანგდა ...ასი.

...ერე... ჩამოვარდა სიმშვიდე ქვეყანასა ...ი, სხვად ა ს ხ ვ ა ...ლეში დროთა მან...ზე ნელნელეა წა...წია მეურნეობამ. ...ერე... ძლევამოსი...ოტომბრის შუ...მთელ საქართვე...ს მოადგა. სულ ...ელე ბანში ალარ...და ქ ვ ე ყ ა ნ ა. ...ლმიუსაწილ რ ზ ე ...ეშინენ ზვრები, ...ტაციები, ციტ...ები, ხეხილის ბა...ი, ზღვად მოსკ...მოსავალი. მთელ ...ართველოსთან ერთად არნახულ ალო...ნებას მიაღწია კახეთმა, აშენდა, აყ...და, გაიზარდა, მაგრამ ეს პაწია ბან...ს მხარე კარგახნის მანძილზე მაინც ...ე გაათევს აქ, ღამის მყუდროებაში ...ოგონებს ხარ-ირმის ბღავილს. გაიგო...ებს და არ შეიძლება არ გაახსენდეს ...ბუტი ბაგრატიონის განთქმული წიგ...„აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, ...ც დიდი გეოგრაფი სხვათა შორის ...ეთ ცნობას გვაწვდის: „ხოლო ხეობა ...ენისა არის ვენახოვანი, ხილიანი...ალენი და მთის ქერძნი, ვითარცა მთა...ადგილნი, თევზნი, კალმახნი, ტყე...ბრიანი, მრავალთა ნაყოფიერი თვი...ერ ბრინჯ-ბანბისნა“.

...ას აქეთ საქართველოს თავზე ბევრი ...ღურება დატრიალდა, გარეშე მოძა...ებების ხელით დაინგრა სარწყავი არ...ი, მოიშალა მეურნეობა, გაჩანგდა ...ასი.

...ერე... ჩამოვარდა სიმშვიდე ქვეყანასა ...ი, სხვად ა ს ხ ვ ა ...ლეში დროთა მან...ზე ნელნელეა წა...წია მეურნეობამ. ...ერე... ძლევამოსი...ოტომბრის შუ...მთელ საქართვე...ს მოადგა. სულ ...ელე ბანში ალარ...და ქ ვ ე ყ ა ნ ა. ...ლმიუსაწილ რ ზ ე ...ეშინენ ზვრები, ...ტაციები, ციტ...ები, ხეხილის ბა...ი, ზღვად მოსკ...მოსავალი. მთელ ...ართველოსთან ერთად არნახულ ალო...ნებას მიაღწია კ



ამბები — ცნობები

„საქართველოს კომუნისტი“ №11

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მ. წინანავე** — პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი ამაღლებისათვის; **გ. ასათიანი** — ბურჟუაზიული პოლიტიკური ფილოსოფია იმპერიალისტური რეაქციის სამსახურში; **ა. ჩავლეიშვილი** — პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპი; **ვ. თოხაძე** — ავამაღლოთ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონე; **ი. მირცხულავა** — გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერი; **ე. შევარდნაძე** — საბჭოთა კანონი წმიდათა წმიდაა; **ვ. პაპუნიძე** — ინტენსიფიკაცია — სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის მთავარი გზა.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: **„დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის“, „საპრობლემო თეორიული სემინარები“, „პარტიული ცხოვრება“, „საერთაშორისო პრობლემები“, „წერილები და კორესპონდენციები“.**

ბილის წვენი — ალტაის მშრომელებს

ცაგერი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ცაგერიდან ალტაის მშრომელებისათვის გაიგზავნა ერთი სარკინიგზო ვაგონი ხილის წვენი.

ლეჩხუმურ ხილის წვენს სულ მალე მიიღებენ აგრეთვე ბელორუსი მშრომელები. წვენს ცაგერის ხილის წვენების ქარხანამ უკვე დაამზადა 378 ტონა ხილის წვენი და წლიური სახელმწიფო დავალ ებ ა 126 პროცენტით შეასრულა.

ძრავების „სამკურნალო“

თელავი. (საკ. კორ.). ტრაქტორების, კომბაინების, სათესი მანქანების, გუთნების, კიდევ ბევრ სხვა სახის იარაღ-მანქანების რემონტზე მუშაობს „საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილების სახელოსნო, რომლის რეკონსტრუქცია ახლახან დამთავრდა.

სახელოსნოში ამუშავდა „გაზ-51“ მარკის ავტომანქანის ძრავის სარემონტო ხაზი. აქ უკვე ეპრიალ 200 ძრავს „უმკურნალეს“. მომავალ წელს თელავლები კახეთის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ავტომანქანის ათასზე ეტ ძრავს შეაკეთებენ. სახელოსნო ყოველწლიურად 200 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოებს შეასრულებს.

ციტრუსეები საექსპორტოდ

ბათუმი. (საკ. კორ.). შემფუთავმა ქარხანამ წელს ფინელ მეგობრებს უნდა გაუგზავნოს 100 ათას კილოგრამზე მეტი მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი. უკვე გაიგზავნა 4 ვაგონი მაღალხარისხოვანი ციტრუსები. ამ დღეებში გაიგზავნება მუხუთე ვაგონი.

გუშინდელი ფოსტიდან

⊙ **უვარელი.** ახალსოფლის საშუალო სკოლის პედკოლექტივმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მასწავლებლებს ქეთევან ლომმიძეს, ნინო კობახიძესა და ანეტა ჯაფიაშვილს. ამაგდარი პედაგოგები აღაფრთოვანა თავიანთი უმცროსი კოლეგების ნუნუ და ნელი ერგეშიძეების, მოსწავლეების ირინე შაროვის, კახი პავლიაშვილის, ნანული ჭოკიაშვილის, ცირა და ნაზი კოხრეიძეების გულთბილმა სიტყვებმა.

ნ. იარალოვი.

⊙ **ჭიათურა.** ფერადი და შავი ლითონების ჯართის შეგროვების წლიური დავალება ვადამდე შ ე ა ს რ უ ლ ა **„ვტორჩერმეტის“** სამმართველოს ჭიათურის პუნქტმა. 1967 წლის ანგარიშში გაგზავნილია 800 ტონაზე მეტი ჯართი.

პ. პაიკიძე.

სიახლენი კრისტალთა ოპტიკაში

ჩვენი ინტერვიუ

როგორც ვიუწყებოდით 21 ნოემბერს თბილისში დაიწყო და დღეს მუშაობას ამთავრებს ფიზიკოსთა XV საკავშირო თათბირი, რომლის დღის წესრიგშია კრისტალების ოპტიკური თვისებები. ჩვენი ქვეყნის 32 ქალაქის 90 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების 200-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა ამ თათბირზე, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლუმინესცენციის სამეცნიერო საბჭომ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ვ. თორდუა ესაუბრა თათბირის ზოგიერთ მონაწილეს და სთხოვა მათ ეამბნათ მკითხველებისათვის თავიანთ შთაბეჭდილებებსა და მომავალი მუშაობის პერსპექტივებზე.

იოსებ პარფიანოვიჩი,

პროფესორი. (ირკუტსკის უნივერსიტეტი).

პირველი, რაც მინდა ავღნიშნო, ეს გახლავთ თათბირის საუკეთესო ორგანიზაცია, მუშაობის საუკეთესო პირობები. თათბირი მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობს. აქ მონაწილეობენ ლუმინესცენციის მრავალი სკოლის წარმომადგენლები. თვითეულმა სკოლამ რაღაც ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი წარმოადგინა.

ჩვენი სკოლიდან, ესე იგი ირკუტსკის მეცნიერ ფიზიკოსთა მხრიდან, თათბირს შვიდი მოხსენება წარედგინა. ამ მოხსენებებში ძირითადად ხაზგასმულია რენტგენის გამოსხივების ხილულ გამოსხივებად გარდაქმნის მექანიზაციის თვისებები.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მუშაობა ფიზიკის ამ დარგის თბილისის ძლიერი სკოლისა, რომელსაც თვალსაჩინო და მეტად ნაყოფიერი მეცნიერები ე. ანდრონიკაშვილი და ნ. პოლიტოვი ხელმძღვანელობენ.

თათბირი ძალიან სასარგებლოა არა მარტო ახალგაზრდობისათვის, რომელიც აქ ფართოდ არის წარმოდგენილი, არამედ თვით სკოლების ხელმძღვანელთათვისაც. ამ აზრს იზიარებენ ჩემი ირკუტსკელი თანამემამულენი, თათბირის მონაწილენი ე. ი. შურალეოვა, ვ. ვ. კრონგაუზი, ე. პ. ალექსეევი, ვ. ვ. პოლოგრუდოვი და სხვ.

ჩვენ, ირკუტსკელები, მოხიბლული ვართ თქვენი ქალაქით, თქვენი ხალხის სტუმართმოყვარეობით, გულითადობით. ორკუტსკიდან რომ მოვდიოდით თერმომეტრი ნულს ქვემოთ 25 გრადუსს უჩვენებდა. აქ ჩამოვედით, და ნულს ზემოთ 18 გრადუსია. ტემპერატურის ასეთი კონტრასტები ხელს ვერ უშლის ამ ორი ქალაქის მეცნიერებს ნაყოფიერ შემოქმედებითს თანამშრომლობაში. ჩვენს ორ ქალაქს აკავშირებს აგრეთვე ერთი მსგავსება — ორივეს ერთი ასაკის, თანატოლი უნივერსიტეტები აქვს. ირკუტსკის უნივერსიტეტიც 1918 წელს არის დაარსებული და თქვენიც. ორივენი ერთ წელს იზეიმებენ დაარსების 50 წლისთავს... მინდა აღვნიშნო, რომ აქ მყავს ნაცნობი — ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი მათემატიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ილია ნეტესტორის-ძე ვეკუა. მე ის გავიცანი ნოვოსიბირსკში, როცა იგი იქ უნივერსიტეტის რექტორი იყო.

ამ დღეებში ეემკურსიით ვიმგზავრეთ საქართველოს საბუდრო გზით. ეს დიდებული სანახაობაა. ჩვენც გვაქვს თავისებურად მომხიბვლელი ბუნება. როცა ჩამობრძანდებით, თავად დარწმუნდებით, ნახავთ ზღაპრული სილამაზის დიდებულ ტბა ბაიკალს, რომელიც ჩვენი ქალაქიდან სულ რაღაც 60 კილომეტრზე მდებარეობს.

გმადლობთ სტუმართმოყვარეობისათვის.

ჩესლავ ლუშჩიკი,

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (ტარტუს ფიზიკის ინსტიტუტი)

ჯერ კიდევ ომის დროს, 1944 წელს, როცა მე ახალგაზრდა ფიზიკოსი გახლდით, მახსოვს, ჩვენს ქვეყანაში ფიზიკის ახალი დარგის — ლუმინესცენციის ფუძემდებლის აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის ინიციატივით მოეწყო ფიზიკოსთა პირველი საკავშირო თათბირი. აგერ ოცდაორი წლის შემდეგ თქვენს მშვენიერ დედაქალაქში მუშაობს ფიზიკოსთა XV საკავშირო თათბირი. ესეც ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ სწრაფად იზრდება მეცნიერება კრისტალთა ოპტიკურ თვისებებზე და რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მეცნიერებას.

ჩვენი ეს თათბირიც მიძღვნილია თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხისადმი — მყარ სხეულთა ფიზიკისადმი. აქ განიხილება კრისტალთა სხვადასხვა დეფექტების აღნაგობა და განსაკუთრებით მექანიზმები სხვადასხვა დეფექტების შექმნისა გამოსხივების გაელენით. თათბირს მოხსენდა ბევრი მეტად რთული შრომები, შესრულებული მაღალ მეცნიერულ დონეზე. მათ შორის მოსკოვში, ლენინგრადში, როგორც და ირკუტსკში.

განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი რამდენიმე პირველხარისხოვან შრომას, შესრულებულს ქართველი ფიზიკოსების მიერ. მე პირადად ძალიან მომეწონა აკადემიკოს ე. ანდრონიკაშვილის, მეცნიერ თანამშრომლების, ნ. პოლიტოვის, ჯ. წაქაძის მოხსენებები. გთხოვთ ჩაწეროთ, იმას მალაპარაკებს არა ის, რომ თქვენი სტუმარი ვარ, არამედ მოხსენებათა უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

თათბირი მიმდინარეობს გაცხოველებული დისკუსიის ვითარებაში. სასიამოვნოა, რომ ამ დისკუსიაში ტონის მიცემი ახალგაზრდა მეცნიერები არიან, და ეს არც არის გასაკვირველი — მყარი სხეულის ფიზიკა ხომ ახალგაზრდა და პერსპექტიული მეცნიერებაა.

მე ჩამოვედი ბალტიისპირეთიდან, სადაც ვმუშაობთ მყარი სხეულის ოპტიკის დარგში. გვაქვს ორი ცენტრი — რიგასა და ტარტუში. ორივე ქალაქის ფიზიკოსებს ტრადიციულად კარგი კონტაქტი აქვთ ქართველ ფიზიკოსებთან. ვფიქრობთ, ამ თათბირის შემდეგ ეს კონტაქტები კიდევ უფრო გაფართოვდება.

ჯელილ წაქაძე,

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დაბალ ტემპერატურათა განყოფილების გამგე.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ თათბირზე დიდად დამსახურებულ მეცნიერებთან ერთად აქტიურად გამოდიან ახალგაზრდებიც ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქიდან, მათ შორის თბილისელები. ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერებმა თათბირზე გამოიტანეს მეტად ხაინტერესო მოხსენებები. კერძოდ, დიდი ინტერესი და აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლების თამაზ დავითაშვილის, ზაირა ახვლედიანის, ლარისა ვორონეკინას მოხსენებებმა. ეს მოხსენებები ძირითადად შეეხებოდა რეაქტორული გამოსხივების ზეგავლენას ტიტე ჰალოიდური კრისტალების თვისებებზე.

პირველად ჩემი მოხსენება შეეხებოდა ტიტე ჰალოიდურ კრისტალებზე გამა რადიაციის ზეგავლენას. გასხივებული კრისტალები შეისწავლებოდა მონოქრომატული ნეიტრონული ნაკადის საშუალებით ლაბორატორიაში. თათბირზე აღინიშნა, რომ ასეთი მეთოდით კრისტალთა თვისებებს შესწავლა აღბათ პირველია, ხოლო მიღებული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა გადავხედოთ ჩვენს წარმოდგენებს ტიტე ჰალოიდურ კრისტალებზე გამა რადიაციის მოქმედების შედეგების შესახებ. ეს შრომა, რომლის შესახებაც თათბირს მოვახსენე, შესრულებულია აკადემიკოს ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით და ლაბორატორიის გამგის დონორა ბეგბენოვას მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიაში წარმატებით იჭრდებიან ახალგაზრდა ფიზიკოსები ავთურუშაძე, სოლ. კობიაშვილი და სხვ.

ეს თათბირი დადებითს კვალს ტოვებს ფიზიკოსთა შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში.

• • •

სურათზე: ფიზიკოსთა XV საკავშირო თათბირის მონაწილე მეცნიერთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ჩ. ლუშჩიკი (ტარტუ), ი. პარფიანოვიჩი (ირკუტსკი), ტ. მაკეიმოვა (ლენინგრადი), მ. კაცი (სარატოვი), ვ. ანდრონოვ-რომანოვსკი (მოსკოვი), ნ. პოლიტოვი, ჯ. წაქაძე (თბილისი), ა. სტეპანოვი (ლენინგრადი).

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სანადიროდ გამზადებული კოსმონავტები. წინა პლანზე — ი. გაგარინი და ალექსი ლეონოვი.

კარავეიშში გადასხდომამდე. წინა პლანზე — ი. გაგარინი და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ნ. კამანინი.

ალექსი ლეონოვი ნანადირევით.

„მზარეულთა აქტივი“ სალაშქრო კოცონთან — გერმან ტიტოვი და ვალერი ბიკოვსკი.

(საკვლევის ფოტოკრონიკა).

ნადირობა

იხვებზე სანადიროდ

დაძაბულია საბჭოთა კოსმონავტების სამუშაო დღეები. სწავლას, ვარჯიშს დიდი დრო მიაქვს. დასვენების მოკლე პერიოდებს თვითეული კოსმონავტი საყვარელ გატაცებას ახმარს. მაგრამ ერთი რამ აერთიანებს ყველას — ნადირობა.

კარგია, რუსეთის ტყეები შემოდგომაზე! რიაზანის, ვლადიმირის, იაროსლავლის ტყეურები რუსეთის ძველთაძველი სანადირო ადგილებია. ინდუსტრიის მძაფრი შეტევაც კი ვერ უშლის ხელს აქ იხვის, კურდღლისა და სხვა ნადირის და ფრინველის გამრავლებას.

გატაცებულ მონადირე კოსმონავტთა ჯგუფი — იური გაგარინი, ალექსი ლეონოვი, ვალერი ბიკოვსკი, გერმან ტიტოვი, ანდრიან ნიკოლაევი და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ კამანინი — რიაზანის ტყეებს ეწვია. ბუნების წიაღში კოლექტიურმა გასვლამ წარმატებით ჩაიარა.

იხვებზე ნადირობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ალექსი ლეონოვმა და იური გაგარინმა.

საიუბილეო ჯურნირი

რუბრიკ ვიუწყებოდით, სამამული ომ ალათბურთს სამოცი წელი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვან თარიღს ეძღვნება ტურნირი ლენინგრადში, სადაც გამოდიან რუსეთ-ბელორუსიის ნაკრები კოლექტივები.

დიდი ინტერესი ვამოიწვია მოსკოვისა და ლენინგრადის კალათბურთელთა შეხვედრებ ქალთა გუნდების მატჩში წარმატება ლენინგრადელებს ხვდათ 59:51, ვაჟთა გუნდებ შეჯიბრებაში კი — მოსკოველებს 76:69.

ყურადღების ცენტრში იდგა ძველი მტ ქვების — ლატვიისა და ლიტვის გუნდებ შეჯიბრება. ლატვიის ვაჟთა გუნდი აოლ ლობით იბრძოდა და გაიმარჯვა 67: ქალთა გუნდებს შორისაც წარმატება ლ ვიელებს ხვდათ. მათ გაიმარჯვეს 69:35.

მორიგ ტურში მძაფრი გამოდგ ქართველოსა და ლატვიის ვაჟთა გუნდ ასპპარეზობა. წარმატება ქართველ კალათბ თელებს ხვდათ. მათ გაიმარჯვეს ანგარი 79:70 (43:32). გუშინ ჩვენი რუსეთელ ნაკრები დამრცხდა უკრაინის გუნდთან შ ვედრაში 52:57.

მატჩი ოდესაში

საბავშვო ჩემპიონატი ფეხბურთ უმაღლესი ლიგის კოლექტივებისათ დასახრულს უახლოვდება, გუშინ ოდ ში გაიმართა კიდევ ერთი მატჩი. აქ მაშობდნენ ადგილობრივი არმიის ს პორტო კლუბისა და დონეცკის „შახ ორის“. გუნდები. შეხვედრის შედ ფრე — 0:0.

ოლიმპიადა

ნ. ალექსანდრია უტევს

გუშინ კიევში გაიმართა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეშვიდე ტური.

როგორც ცნობილია, ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ნ. ალექსანდრიამ სამი გადადებული პარტია მოიგო ზედიზედ და ლიდერთა ჯგუფში ჩადგა. გუშინ იგი შეხვდა მოსკოველ ოსტატს ნ. ვოიცეხს. ნ. ალექსანდრიამ დებიუტიდანვე პერსპექტიული პარტია მიიღო და სამი პაიი მოიგო. გადადებულ პოზიციაში ქართველი მოჭადრაკის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

ა. ჩაიკოვსკაია წარმატებით იბრძოდა საერთაშორისო ოსტატის მ. რანიკუს წინააღმდეგ და 25-ე სვლაზე გაიმარჯვა. ა. მუსლიმოვამ (ალმა-ატა) მოუგო ა. ტეპანიანს (მოსკოვის ოლქი), ე. ბელოვამ (მოსკოვი) — ვ. ბიხოვეროვა (მოსკოვი), თ. გოლოვეინა (მინსკი) — ც. კახაბრიშვილს, ლ. ილელეევა (კიევი) — ე. ბაკაბაძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

„სმენის“ ლაურეატები

უკვე მესამე წელია ჟურნალი „სმენა“ აღნიშნავს საფეხბურთო სეზონის საუკეთესო დებიუტანტებს. მართალია, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა საკავშირო ჩემპიონატი და უმაღლესი ლიგის გუნდები განაკარძულნენ ბრძოლას, მაგრამ ჟურნალ „სმენის“ სარედაქციო კოლეგიამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად განსაზღვრა 1966 წლის ლაურეატები.

ეი ისინი:

მეკარე — ა. აბრამიანი („არარატი“); მცველები — ი. მუსინი („ალარატი“), მ. შერგელაშვილი (თბილისის „დინამო“), ა. ნიმონინ („არარატი“), ნ. დემენტიევი (დონის როსტოვის სკ); ნახევარმცველები — ვ. კურილოვი (მინსკის „დინამო“), ვ. ნაუმოვი („ზენიტი“); თავდამსხმელები — მ. გერშკოვიჩი, ვ. კოზლოვი (ორივე „ლოკომოტივიდან“), ქ. ასათიანი (თბილისის „დინამო“), გ. ევრიუუხინი (მოსკოვის „დინამო“).

ოლიმპიადა

საიუბილეო ჯურნირი

სპორტული ქრონიკა

◆ **გუშინ** მოსკოვს ეწვია მსოფლიო პიონატის ვერცხლის პრიზიორი — ჩეკ ლოვაკიის შაიბინან ჰოკეისტთა ნაკრები დი. ჩვენი სტუმრები დღეს და ხვალ მოგ ვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალ სტადიონის სპორტის სასახლეში გამართ ორ საერთაშორისო მატჩს საბჭოთა ჰოკ ტებთან.

◆ **საბჭოთა** ფეხბურთელების ნ დენიმე გუნდი საზღვარგარეთ იმყოფ და საერთაშორისო მატჩებს მართ ადგილობრივ გუნდებთან. ერ „არარატი“ ირანს ეწვია და პირველ ტჩი ჰქონდა თეირანში „დარაბის“ ლუბო გუნდთან. მეტოქეებმა ორ ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დ თავრეს.

◆ **ბაკოში** გრძელდება ამერიკ სის მოძმე რესპუბლიკების მოჭადრ თა ტურნირი. გუშინ გათამაშდა მეშვ ტური. ჭადრაკის მოყვარულები დ ინტერესით მოელოდნენ ნ. ბაშირ შვილისა და ვ. ბაბიროვის შეხვედ მაგრამ ვ. ბაბიროვის ავადმყოფ გამო პარტია არ შემდგარა. ლიდერ კვლავ ლ. გრიგორიანი ინარჩენ რომელსაც 5,5 ქულა აქვს.

სისხლის ავადმყოფობანი

• შეიძლება თუ არა მათი განკურნება? •

სისხლწარმოქმნის ორგანოთა დაავადებანი, ანუ, როგორც უფრო ხშირად ამბობენ, სისხლის ავადმყოფობანი, ბევრი სპეციალობის ექიმთა ყურადღებას იპყრობენ. ეს გასაგებიც არის — სისხლი ხომ ჩვენი სხეულის შინაგან არეს წარმოადგენს. ამიტომ მისი არასრულფასოვანი შემადგენლობა, ნორმალურ თვისებათა გაუარესება გარდუვალად არახელსაყრელ გავლენას უნდა ახდენდეს ყველა ჩვენი ორგანოს მოქმედებაზე.

ხშირად გვესმის, სისხლის ავადმყოფობანი ყველაზე მძიმე, უიმედო დაავადებებია, როგორც „მედიცინა უძლურიაო“. ახეთი აზრი დიდი შეცდომაა. უფრო მეტიც, სწორედ ჰემატოლოგიის — სისხლის დაავადებათა შესახებ მეცნიერების დარგში მედიცინამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია. საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ეგრეთწოდებული ავთვისებიანი სისხლნაკლებობა ჯერ კიდევ 50 წლის წინათ ითვლებოდა უმძიმეს დაავადებად, რომელზეც არავითარი სამკურნალო ზემოქმედება არ სჭრიდა. გავიდა სულ ცოტა ხანი, და გამოვავა, რომ ერთ-ერთი ვიტამინი (B_{12}) შესაძლებელს ხდის წინათ უიმედოდ მიჩნეული ამ დაავადების სავსებით განკურნებას, B_{12}-ს არა მარტო გამოაყავს ავადმყოფები მძიმე მდგომარეობიდან, არამედ სამუდამოდ შეუძლებელსაც ხდის ავადმყოფობის შემდგომ გამწვავებას. ამრიგად, ავთვისებიანი სისხლნაკლებობა ავთვისებიანი აღარ არის. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ B_{12}-ის სამკურნალო დოზა ამ დაავადებისას მეტად მცირეა — საკმარისია ადამიანს წელიწადში რამდენჯერმე შეუყვანთ სისხლში ერთი-ორი მილიგრამი ვიტამინი, რომ სავსებით შეუძლებელი გახადო ავადმყოფობის შებრუნება.

მეორე მაგალითი — ეგრეთწოდებული თანდაყოლილი ჰემოლიტური ანემია, რომელსაც თან სდევს სისხლის წითელი ბურთულების — ერითროციტების დაჩქარებული დაღუპვა. ერითროციტებს გადააქვთ ჟანგბადი, რომელიც აუცილებლად საჭიროა ყველა ქსოვილის ნორმალური ცხოველქმედებისათვის. ამტომ გასაგებია, რომ ერითროციტების ნაკლებობა იწვევს ჟანგბადის შიმშილობას ორგანიზმში, ეს დაავადება თანდაყოლილია და ადრეულ ასაკში იჩენს თავს, ამიტომ გასაგებია, რომ ავადმყოფი ბავშვები არასრულფასოვანი იზრდებიან, ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩებიან. ახლა შეიძლება ეს მძიმე ავადმყოფობაც ვძლიოთ. შედარებით არართული ოპერაციის — ელენთის ამოკვეთის საშუალებით ხერხდება ერითროციტების ნაადრევი დაღუპვის შეჩერება. ბავშვებს, რომლებსაც ამ ოპერაციას უკეთებენ, უკრნებათ სისხლნაკლებობა, სიყვითლე და ავადმყოფობის ყველა სხვა ნიშანი, ამასთან ავადმყოფობის შებრუნება არასოდეს აღარ ხდება. ასეთი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ.

მაგრამ მივმართოთ სისხლის ავადმყოფობათა ყველაზე დიდმნიშვნელოვან დარგს — ლეიკემიას, ანუ სისხლის კათეთრებას.

ლეიკემია სერიოზული დაავადებაა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მონათესავე დაავადებათა ჯგუფია, რომელთა დამახასიათებელი ნიშანია სისხლის თეთრი უჯრედების — ლეიკოციტების რიცხვის გადიდება, ან მათი ცვლილება. რადგან ლეიკოციტები ორგანიზმში მეტად მნიშვნელოვან და რთულ როლს ასრულებენ, მონაწილეობენ ინფექციებთან ბრძოლაში, ნივთიერებათა ცვლის პროცესებში, სისხლის კათეთრება, რასაკვირველია, უნდა ჩაითვალოს არა მარტო სისხლის, არამედ მთლიანად ორგანიზმის დაავადებად. ამიტომ გასაგებია, რომ სისხლის კათეთრებით ყოველი დაავადებული მკურნალ ექიმთა სერიოზული ყურადღებისა და ზრუნვის ობიექტია.

დიდი წარმატებებია მიღწეული სისხლის კათეთრების მკურნალობაშიც. უწინარეს ყოვლისა, უცილობლად დადგენილია დიდმნიშვნელოვანი ფაქტი — სისხლის კათეთრება შეიძლება მთლიანად, უკვალოდ გაქრეს. კარგად ცნობილია შემთხვევები, როცა ლეიკემიით დაავადებულნი ავად გამხდარან რაიმე სხვა მწვავე ანთებითი დაავადებით, მაგალითად, ფილტვების ანთებით, რის შემდეგაც სისხლის კათეთრებას ყველა ნიშანი უქრებოდათ დიდი ხნით და სამუდამოდაც კი.

ძალიან საინტერესო მონაცემებია მიღებული სხვადასხვა ასაკის პირთა და სხვადასხვა ქვეყანაში ლეიკემიით დაავადების შესწავლისას. აღმოჩნდა, რომ ჩინელები, იაპონელები და მალაელები პრაქტიკულად არასოდეს არ ავადდებიან სისხლის კათეთრების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ფორმით — ქრონიკული ლიმფური ლეიკემიით, რომელიც ევროპისა და ამერიკის მცხოვრებლებში ხშირად გვხვდება. სავსებით ცხადია, რომ ეს განპირობებულია ჩამოთვლილ ეროვნებათა პირების ორგანიზმის რაღაც თვისებით, ეტყობა, მემკვიდრეობითი წინაადმდეგობით მთელი რიგი გარეგანი ფაქტორებისადმი.

სხვადასხვა ეროვნების ადამიანები სისხლის კათეთრებით ერთნაირად რომ არ ავადდებიან, ამის გამორკვევა ერთი და იმავე ქვეყნის მცხოვრებლებშიც კი ხერხდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგები სისხლის მწვავე კათეთრებით გაცილებით უფრო იშვიათად ავადდებიან, ვიდრე თეთრკანიანები; ქრონიკული ლიმფური ლეიკემია ამერიკის შეერთებულ შტატებში ებრაელებს შორის უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე არაებრაული წარმომობის ამერიკელებს შორის. ეს საინტერესო დაკვირვებანი უეჭველად მოწმობენ, რომ ზოგიერთი ადამიანის ორგანიზმს რაღაც ბუნებრივი დამცავი თვისებები აქვს.

სისხლის კათეთრების ცალკეული ფორმები ხასიათდება არჩევითობით გარკვეული ასაკის პირების მიმართ. მაგალითად, ქრონიკული ლიმფური ლეიკემია ვკვხვდება მხოლოდ და მხოლოდ ხნიერთა შორის, მწვავე ლიმფური ლეიკემიით უმთავრესად ბავშვები ავადდებიან და ა. შ.

დასასრულ, ერთი და იმავე ასაკისა და ეროვნული კუთვნილების პირთა შორისაც კი სისხლის კათეთრების ერთი და იგივე ფორმა შეიძლება სხვადასხვანაირად მიმდინარეობდეს. ქრონიკული ლიმფური ლეიკემია ზოგჯერ შეიძლება გაგრძელდეს მრავალ წელსა და ათწლეულსაც კი, ისე, რომ ფაქტიურად თანდათან არ ძლიერდებოდეს და ავადმყოფის საერთო მდგომარეობას ნაკლებად არ ვვევდეს.

თანამედროვე მედიცინა უდიდეს ყურადღებას აქცევს სისხლის კათეთრების მკურნალობის ახალ საშუალებათა ძიებას და ძველ საშუალებათა გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებანი უეჭველი და მნიშვნელოვანია. ბევრ თანამედროვე სამკურნალო პრეპარატს მოქმედების სხვადასხვა მექანიზმი აქვს. ეს იმას ნიშნავს რომ თუ ერთი პრეპარატი ვეღარ ახდენს სასარგებლო ეფექტს, მის მაგიერ წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას მეორე, შემდეგ მესამე. ისეთი სერიოზული დაავადებისას, როგორიც არის მწვავე ლეიკემია, რეგრიგობით 4-5 სხვადასხვა პრეპარატის (პრედნიზოლონის, ნ-მერკაპტოპურინის, მეტოტრექსატის და სხვა.) გამოყენებით ხერხდება მნიშვნელოვნად გაგუსანგრძლივოთ სიცოცხლე ავადმყოფებს, ზოგჯერ კი სრულ განკურნებასაც მივაღწიოთ.

მიელომური დაავადების დროს, რომელიც ჩონჩხის ბევრ ძვალს აზიანებს და ხშირად დიდი ხნით აგდებს ლოგინად ავადმყოფებს, საბჭოთა პრეპარატების სარკოლიზინისა და ასალინის გამიერებითი მრავალჯერადი კურსების სახით გამოყენება საოცარ შედეგებს იძლევა — ავადმყოფები ფეხზე დგებიან, თავისუფლად სიარულს იწყებენ, ძვლებში მტანჯველი ტკივილები უქრებათ, ხოლო თვით ავადმყოფობის პროცესი თითქოს ნელდება, აღარ ძლიერდება.

ჩამოთვლილი წარმატებანი ლეიკემიის ცალკეული ფორმების მკურნალობაში მიღწეულია სულ ამ ბოლო დროს, ამ ავადმყოფობათა ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის მეოხებით. სამწუხაროდ, ლეიკემიებზე მოძღვრების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხი — მათი წარმომობის მიზეზები — ჯერჯერობით ისევ გადაუჭრელია.

ყველას ახსოვს, თუ რაოდენ მძიმე უბედურება გამოიწვია ატომური ბომბების აფეთქებამ, რომლებიც ამერიკელებმა იაპონიის კუნძულებზე ჩამოაგდეს წარსული იმის ბოლოს. მაგრამ ყველამ ‘როდი იცის, რომ ეს აფეთქებანი იაპონიის მოსახლეობაში ლეიკემიით დაავადებათა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდის მიზეზი გახდა. შესაძლოა რადიოაქტიური გამოსხივება ლეიკემიის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდეს. ეს დასტურდება სხვა დაკვირვებებითაც — მაგალითად, იმით, რომ რენტგენოლოგი ექიმები უფრო ხშირად ავადდებიან სხვა სპეციალობათა ექიმებთან შედარებით, ლეიკემია უხშირდებათ იმ პირებს, რომლებსაც წინათ სხივური მკურნალობა გაუტარებიათ სხვა დაავადებათა გამო და ა. შ. ამიტომ საჭიროა ვერიდებოდეთ ან ვზღუდავდეთ კონტაქტს სხივური ენერგიის წყაროებთან. ის ადამიანები, რომლებსაც საქმე აქვთ რადიოაქტიურ იზოტოპებთან, განუხრელად უნდა იცავდნენ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს. მეტად დიდმნიშვნელოვანია ბორტად არ ვიყენებდეთ რენტგენით გაშუქებასა და სურათის გადაღებას. განსაკუთრებით სასტიკად უნდა ვიცავდეთ ამ წესს ორსული ქალების მიმართ.

სხივური ენერგიის გარდა, ლეიკემიის შესაძლო მიზეზად თვლიან ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებებს ბენზოლის ჯგუფიდან. ამიტომ საჭიროა გონივრული სიფრთხილე ბენზოლთან და მის ნაწარმოებებთან მუშაობისას.

სამართლიანობისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ სხივური და ქიმიური ფაქტორები ლეიკემიის განვითარების სარწმუნო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ავადმყოფთა მხოლოდ ნაწილის მიმართ.

ამრიგად, ზოგიერთი პროფილაქტიკური ღონისძიების დაცვა, დროულად და ეფექტიანად მკურნალობა შესაძლებლობას იძლევა უკვე ახლა წარმატებით ვებრძოლოთ ლეიკემიის ბევრ ფორმას.

იური ლორისი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ტელევიზია

27 ნოემბერი

11